

შპს დიდი დილომი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	3
მოგება-ზარალს და გაუნაწილებელ მოგების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლისათვის	4
კაპიტალს ცვლუბის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლისათვის	4
ფულად სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. მსს ფასს-ზე გადასვლა.....	7
4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	11
6. გადახდილი ავანსები	11
7. მარაგები	11
8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	11
9. კაპიტალი და ვალდებულებები	12
10. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	12
11. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31/12/20 GEL	31/12/19 GEL
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,402,847	105,260
სავაჭრო მოთხოვნები	1,258,199	1,282,234
გადახდილი ავანსები	106,308	
მარაგები	3,052	7,339
სხვა მიმდინარე აქტივები	5,396	4,937
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,775,802	1,399,770
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	572,793	591,644
სულ გრძელვადიანი აქტივები	572,793	591,644
მთლიანი აქტივები	3,348,595	1,991,414
ვალდებულებები და კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,499,880	1,006,451
მიღებული ავანსები	1,274,800	
საგადასახადო ვალდებულებები	7,025	36,990
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2,781,705	1,043,440
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება	564,890	945,974
სულ საკუთარი კაპიტალი	566,890	947,974
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	3,348,595	1,991,414

მოგება-ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	2020	2019
	GEL	GEL
შემოსავალი რეალიზაციიდან	6,786,271	6,503,526
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(6,951,190)	(6,135,547)
საერთო მოგება	(164,919)	367,979
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(134,916)	(55,446)
შედეგი საკუროსო სხვაობიდან		
საოპერაციო მოგება	(299,835)	312,533
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	38,381	(70,178)
მოგება დაბეგვრამდე/(ზარალი)	(261,454)	242,355
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება/(ზარალი)	(261,454)	242,355

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი	2,000	940,794	942,794
კაპიტალის შემცირება		(174,018)	(174,018)
განაწილებული დივიდენდი		(63,157)	(63,157)
წმინდა მოგება		242,355	242,355
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარი	2,000	945,974	947,974
კაპიტალის შემცირება		(77,525)	(77,525)
განაწილებული დივიდენდი		(42,105)	(42,105)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(261,454)	(261,454)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	2,000	564,890	566,890

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2020 GEL	2019 GEL
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან <u>ფულადი სახსრების წმინდა ზრდა</u>	<u>1,297,587</u>	<u>(43,526)</u>
<u>სავალუტო კურსის ეფექტი</u>		
<u>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</u>	<u>105,260</u>	<u>148,786</u>
<u>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</u>	<u>1,402,847</u>	<u>105,260</u>

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს დიდი დილომი დაფუძნდა 2001 წლის 14 მაისს და რეგისტრირებულია ქ. თბილისი, ი. პეტრიწის ქ. N 12, ბინა 5. ფაქტიური მისამართი ქ. თბილისი მეფე მირიანის ქ. N 5 მისამართზე. კომპანიის საინდეფიკაციო კოდია: 204962825. კომპანიის პარტნიორია შემდეგი ფიზიკური პირები:

ჯემალ წერეთელი (ს/კ 01025004951) – 25%

ჯემალ ლალიაშვილი (ს/კ 01025007065) – 25%

ავთანდილ იმნაძე (ს/კ 01025011213) – 25%

ბექა მირიანაშვილი (ს/კ 01025007352) – 25%

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ბუნებრივი გაზის მიწოდება და განაწილება, ასევე მოსახლეობის გაზიფიცირება. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი ჯემალ წერეთელი (ს/კ 01025004951), რომელიც აგრეთვე არის კომპანიის 25% წილის მფლობელიც.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე დასაშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა დამფლობელებს სურვილიაქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მესამე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსსფასს-ის შესაბამისად.

მსსფასს-ზე გადასვლის თარიღია 2010 წლის 1 იანვარი. საწარმომ მსს ფასს-ის შესაბამისი საწყისი ფინანსური ანგარიშგება მოამზადა აღნიშნულ თარიღში.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ყველა სავალდებულო გამოწვევისი.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2020 წლის 1 იანვარი	2.8661	3.2143

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-16-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდამოშებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები	5-10
სატრანსპორტოსაშუალებები	5-10
ავეჯიდაოფისისმოწყობილობა	2-8
სხვაძირითადისაშუალებები	2-4
მილსადენები	20-25

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი;
2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე;
3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით;
4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგებისგადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიათი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

4.4 მარაგები.

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეოსაქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგისწარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა დამასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

ვინაიდან კომპანია აწარმოებს ბუნებრივი გაზის ყიდვასა და მოსახლეობაზე გაყიდვას გამომდინარე აქედან კომპანიას იმ შემთხვევაში უჩნდება მარაგები (ძრითადად ბუნებრივი გაზის აღრიცხვის მრიცხველები და გაზიფიცირებასთან დაკავშირებული მასალები) როდესაც ის ახორციელებს მოსახლეობაში გაზიფიცირებას.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

4.5 შემოსავალი

ვინაიდან საწარმო მუშაობს დარიცხვის მეთოდით, შემოსავლად ითვლება ყოველი თვის ბოლოს მოსახლეობაზე დარიცხული ბუნებრივი გაზის სარეალიზაციო ღირებულება (დამატებითი ღირებულების გარეშე) რომლის ტარიფიც დადგენილია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ.

4.6 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი. (თვითღირებულების ნაწილი, თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში)

4.7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2020	31-12-2019
ნაღდი ფული სალაროში	13,778	23,111
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,389,069	82,149
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,402,847	105,260

6. გადახდილი ავანსები

მუხლში ასახულია საქონლის და მომსახურების შესაძენად კონტრაგენტებისათვის გადახდილი ავანსების ჯამი:

შპს ექსპრეს ჯგუფი	25,424
შპს ვიქტორია 2006	48,150
შპს სხივი-22	32,734
106,308	

7. მარაგები

მარაგები	31-12-2020	31-12-2019
საქონელი	2,966	6,832
საწვავ-საცხები მასალები	86	507
სულ მარაგები	3,052	7,339

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31-12-2020	31-12-2019
სავაჭრო ვალდებულებები	1,499,880	1,006,451
მიღებული ავანსები	1,274,800	
სულ ვალდებულებები	2,774,680	1,006,451

მუხლი „მიღებული ავანსები“, თანხით 1,274,800 ლარი ასახავს 2020 წ. 28 დეკემბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული მოსახლეობის დახმარების ანგარიშში გადმორიცხული ავანსის თანხას.

9. კაპიტალი და ვალდებულებები

2020 წელს კაპიტალი შემცირდა 381,084 ლარის ოდენობით, აქედან 42,105 ლარი - განაწილებული დივიდენდი, 77,525 ლარი ბუნებრივი გაზის ზენორმატიული დანაკარგის ღირებულება, ხოლო 261,454 ლარი პერიოდის ზარალია.

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის ბუნებრივი გაზის მოსახლეობაზე რეალიზაცია და ასევე გაზიფიკაცია.

11. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანია ახდენს ბუნებრივი გაზის შესყიდვას შპს „თბილისი ენერჯი“-სგან რომელიც გვაწვდიდა მოსახლეობაზე 1000 მ/კუბ გაზს 103.7აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, ხოლო კომერციულ ობიექტებზე კი 1000 მ/კუბ გაზს 270 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში თიბისი ბანკისთვის ბოლოს არსებული გაყიდვის მაქსიმალური კურსის მიხედვით, ეს ხდებოდა 2020 წლის მარტის ჩათვლით, ხოლო 2020 წლის აპრილიდან ნოემბრის ჩათვლით გვაწვდიდა კომერციულს 210 აშშ დოლარად მოსახლეობაზე კი 105 აშშ დოლარად იენისის ჩათვლით. კომერციულ გაზის ღირებულება 2020 წლის დეკემბრიდან გახდა 200 აშშ დოლარი. 2020 წლის ივლისის თვიდან მოსახლეობაზე გაზს გვაწვდის შპს „სოკარ გაზ ექსპორტ_იმპორტი“ 95,63 აშშ დოლარად საქართველოს ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით, ამას ემატება ყოველ 1000 მ/კუბზე ტრანსპორტირების ტარიფი 18,95 ლარი და გატარების საფასური 17,11 ლარი 2020 წლის მარტის ჩათვლით, 2020 წლის აპრილიდან 2020 წლის იენისის ჩათვლით გატარების საფასურმა შეადგინა 40,5068 ლარი ხოლო 2020 წლის ივლისიდან წლის ბოლომდე გატარების საფასური გახდა 38,370 ლარი.

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენებიდან აღსანიშნავია 2021 წ. 2 იანვრის თარიღით სს საფოსტო ბანკის ანგარიშზე არსებული 37,567 ლარის საკუთარი კაპიტალის შემცირებით ჩამოწერა, ვინაიდან ამოწურულია ყველანაირი ვადები და საშუალებები აღნიშნული თანხის ამოღებასთან დაკავშირებით.

დირექტორი

ჯ. წერეთელი